

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #013/14¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თინათინ ჯაჯანიძე (სტუდენტი)

შეკითხვა:

კლიენტმა არ გადაუხადა ადვოკატს ადრე გაწეული მომსახურების საფასური. იგივე პიროვნებას, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ სურს ისევ იმ ადვოკატთან თანამშრომლობა, მიუხედავად კლიენტის მრავალჯერადი თხოვნისა და საკმარისი თანხის შემოთავაზებისა, ადვოკატი უარს აცხადებს მომსახურების გაწევაზე. რამდენად ეთიკურია ადვოკატის მოქმედება?

ანალიზი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ადვოკატი პროფესიული საქმიანობისას დამოუკიდებელია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 1 (2) მუხლი).

ადვოკატსა და კლიენტს შორის ადრე წარმოშობილი ურთიერთობა დასრულებულია. ადვოკატმა გაუწია მომსახურება კლიენტს კონკრეტულ საქმეზე, რაზეც კლიენტმა არ გადაიხადა მომსახურების ანაზღაურების თანხა. შეკითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე, ადვოკატ-კლიენტს შორის ადრე არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ამოწურულია და ადვოკატს არ აქვს ვალდებულება მომსახურება გაუწიოს ყოფილ კლიენტს ძველი სამართლებრივი ურთიერთობის გამო.

იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დადება ორმხრივი ნების გამოვლენაზეა დამოკიდებული-მხარეთა შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში ვერ მოხდება იძულებითი მექანიზმის გამოყენება ადვოკატის მიმართ, გაუწიოს იურიდიული მომსახურება კლიენტს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს არ სურს კონკრეტულ პიროვნებას გაუწიოს იურიდიული მომსახურება, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მას აქვს უფლება უარი თქვას აღნიშნულზე. ადვოკატი თავისუფალი პროფესიის მქონე პირია, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ხოლო კანონი არ ავალდებულებს ადვოკატს იძულების წესით დაიწყოს სახელშეკრულებო ურთიერთობა.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c7fba97cd020.pdf/28%20November%202014%20013.14.pdf>